



# ანგარიში

გაწეული საქმიანობის შესახებ

2018 წლის ანგარიში

## შინაარსი

სამართლებრივი უზრუნველყოფა.....	1
სასამართლოებში განხილული და მიმდინარე საქმეები.....	6
საფინანსო საქმიანობა .....	7
ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულების შესახებ .....	7
საბიუჯეტო სახსრები .....	8
კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლები და გადასახდელები.....	9
დაფინანსება სხვა წყაროებიდან.....	12
ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია .....	13
სახელმწიფო შესყიდვები.....	14
ტყის მოვლა-აღდგენა და კვლავწარმოება .....	15
ტყითსარგებლობა და რეგიონული განვითარება.....	21
სახელმწიფო კონტროლის სფეროში განხორციელებული საქმიანობა.....	30
მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის განვითარება და მართვა.....	33
საზოგადოებასთან ურთიერთობა და განათლება.....	35
ადამიანური რესურსების მართვა და საქმისწარმოება .....	40



## სამართლებრივი უზრუნველყოფა

### ნორმატიული აქტები:

1. მომზადდა და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 2 თებერვლის N55 დადგენილებით მიღებული იქნა „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე „საქართველოს მთავრობის დადგენილება; *(სოციალური ჭრის წესებში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, ასევე სპეციალური მიზნით ტყითსარგებლობისათვის გადახდილი საკომპენსაციო თანხების მიზნობრიობასთან დაკავშირებით და სხვა)*;
2. მომზადდა და მიღებული იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 6 მარტის N2-131 ბრძანება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლის განმასხვავებელი ნიშნების მქონე სპეციალური ტანსაცმლის (უნიფორმის), სამსახურებრივი პირადობის მოწმობისა და ლუქის ნიმუშების დამტკიცების შესახებ“;
3. მომზადდა და სამინისტროში გაიგზავნა „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ეროვნული სატყეო სააგენტოსათვის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი;
4. მომზადდა და სამინისტროში გაიგზავნა „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის N50 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების პროექტი“
5. მომზადდა და გამოცემული იქნა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანება „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიების ტყის მცველის სამოქმედო ტერიტორიებად (სატყის მცველებად) დაყოფის შესახებ“ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2018 წლის 14 თებერვლის N117/ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
6. მომზადდა და გაგზავნილი იქნა სამინისტროში „მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირდაპირი მიყიდვის შემთხვევაში გადასახდელი ფასის დადგენის შესახებ“ საქართველოს გარემოს



დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 25 აპრილის N2-281 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების პროექტი;

7. მომზადდა და გამოცემული იქნა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანება „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს ხელმძღვანელობის უფლებამოსილებათა განსაზღვრის შესახებ“ სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2018 წლის 04 აპრილის N305/ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

8. მომზადდა და გამოცემული იქნა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანება „სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის ბორჯომის სატყეო უბნის ჩარხისწყლის სატყეოს კვ. N23,24,25,26,27,28-ში – 234,0 ჰა მიწის ფართობზე ტყის აღდგენის პროექტის დამტკიცების შესახებ“;

9. მომზადდა და გამოცემული იქნა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანება „სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის ჩარხისწყლის სატყეო უბნის ბორჯომის სატყეოს კვ. N23,24,25,26,27,28-ში – 234,0 ჰა მიწის ფართობზე ტყის აღდგენის პროექტის დამტკიცების შესახებ“;

10. მომზადდა და გამოცემული იქნა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ “სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2014 წლის 31 დეკემბრის N317/ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

11. მომზადდა და გაგზავნილი იქნა სამინისტროში „2018 წლისათვის სოციალური ჭრის საფუძველზე მოპოვებული II ხარისხის ხე-ტყის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების პროექტი;

12. მომზადდა და გაგზავნილი იქნა სამინისტროში „იმ თანამდებობის პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებსაც აქვთ სამსახურებრივ-სამტატო იარაღის ტარების უფლება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;

13. მომზადდა და გამოცემული იქნა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანება „სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის ასპინძა-ახალქალაქის სატყეო უბნის ზველის სატყეოს კვ. N 5-ის ლიტ. N 17,20,23,50 – 25,3 ჰა ფართობზე ტყის აღდგენის (ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა) პროექტის დამტკიცების შესახებ“;



14. მომზადდა და გამოცემული იქნა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანება „სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ტყის მოვლის ღონისძიებების განსახორციელებლად ინტერესთა გამოხატვის გზით დაინტერესებული პირის შერჩევის მიზნით სპეციალური კომისიის შექმნის შესახებ“ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2017 წლის 03 მაისის N268/ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

15. მომზადდა და გამოცემული იქნა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანება „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიების ტყის მცველის სამოქმედო ტერიტორიებად (სატყისმცველოებად) დაყოფის შესახებ“ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2018 წლის 14 თებერვლის N117/ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

16 მომზადდა და გამოცემული იქნა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანება „სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მუდმივმოქმედი სატენდერო კომისიისა და სატენდერო კომისიის აპარატის შექმნის შესახებ“ სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2018 წლის 06 მარტის N180/ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

17. მომზადდა და გამოცემული იქნა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანება „წალენჯიხის (17226 ჰა) და ჩხოროწყუს (20644 ჰა) მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ტერიტორიებზე არსებულ ტყის ფონდში (ლიცენზიით განსაზღვრული N1000042) სულ - 37870 ჰა ფართობზე ჩასატარებელი ტყის აღრიცხვის (ინვენტარიზაციის) სამუშაოების განხორციელების მიზნით ტექნიკური დავალების დამტკიცების შესახებ“;

18. მომზადდა და გაგზავნილი იქნა სამინისტროში „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ეროვნული სატყეო სააგენტოსათვის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი.

19. მომზადებული და სამინისტროში წარდგენილი იქნა „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს № 132 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი *(სალიცენზიო ფართობებზე არსებული ნარჩენების გამოტანა, ასევე სტიქიური მოვლენების შედეგად წარმოქმნილი მოთხრილი ან/და მოტეხილი მერქნული რესურსის დამზადება. ბიოსაწვავის მწარმოებლები);*

20. მომზადებული და სამინისტროში წარდგენილი იქნა „ტყით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242



დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი *(სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასური 1 კუბური მეტრი ძირნაყარი ხე-ტყის მოპოვებისთვის განისაზღვრება (დღგ-ის ჩათვლით) 01 ლარის ოდენობით.)*

21. მომზადებული და სამინისტროში წარდგენილი იქნა „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ეროვნული სატყეო სააგენტოსათვის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 19 აპრილის №847 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი *(ორი შტატგარეშე მოსამსახურის შტატის შემცირებასთან დაკავშირებით)*;

22. მომზადებული და სამინისტროში წარდგენილი იქნა „მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირდაპირი მიყიდვის შემთხვევაში გადასახდელი ფასის დადგენის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 25 აპრილის N2-281 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების პროექტი;

23. მომზადებული და სამინისტროში წარდგენილი იქნა „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების პროექტი.

24. მომზადებული იქნა „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიების ტყის მცველის სამოქმედო ტერიტორიებად (სატყისმცველოებად) დაყოფის შესახებ“ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2018 წლის 14 თებერვლის N117/ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

25. მომზადებული იქნა ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტყის ფონდის აღრიცხვისა და ტყის მართვის გეგმის შედგენის, ტყის აღრიცხვის მოსამზადებელი, საველე და კამერალური სამუშაოების განხორციელების მიზნით ტექნიკური დავალების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2018 წლის 03 სექტემბრის N876 /ს ბრძანების პროექტი;

26. მომზადებული იქნა სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს ტერიტორიული ორგანოების - სატყეო სამსახურის უფროსებისთვის/ უფროსის მოვალეობის შემსრულებლებისთვის



უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2018 წლის 27 აგვისტოს N835 /ს ბრძანების პროექტი;

27. მომზადებული იქნა ბორჯომის ხეობაში 2008/2017 წლებში ხანძრით განადგურებული ტყის აღდგენის სამუშაოთა საორგანიზაციო და საზედამხედველო სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2018 წლის 12 სექტემბრის N980 /ს ბრძანების პროექტი;

28. მომზადებული იქნა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ელექტრონული აუქციონის გზით „პირველი მე-2 მე-3 და მე-4 ხარისხის მრგვალი ხე-ტყის (მორის) რეალიზაციისას ბიჯის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2018 წლის 05 სექტემბრის N883 /ს ბრძანების პროექტი.

### მომზადებულია:

საქართველოს კანონპროექტი „ტყის ფონდის მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (ტყის ფონდის ფიზიკური დაცვის ფუნქციის განმახორციელებელ ნორმებში ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებით).

„საქართველოს ტყის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი (აკაციის კორომებში პირწმინდა ჭრის დაშვების თაობაზე).

„ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ (ტყის ფიზიკური დაცვის რეგულირებასთან დაკავშირებით);

### შემუშავებული და მიღებულია:

საქართველოს კანონში „საქართველოს ტყის კოდექსში“, საქართველოს კანონში „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“, „ტყის ფონდის მართვის შესახებ“ საქართველოს კანონსა და „ცხოველთა სამყაროს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე მოხდა სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის ზედამხედველობა-კონტროლის ფუნქციების მკაფიო გამიჯვნა და ეროვნული სატყეო სააგენტოსათვის ტყის ფიზიკურად დაცვის ფუნქციის ჩამოშორება.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის №50 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულებასა“ და დანართი №1 დამტკიცებული „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის



მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის- ეროვნული სატყეო სააგენტოს ტერიტორიული ორგანოების - სატყეო სამსახურის ტიპური დებულებაში“ ცვლილებების შეტანის შესახებ პროექტი.

**სასამართლოებში განხილული და მიმდინარე საქმეები:**

სააგენტოს წარმომადგენლობა საერთო სასამართლოებში განხორციელდა - 23 საქმეზე;  
სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სასარგებლოდ დაკმაყოფილდა - 6 საქმე;  
სააგენტოს საწინააღმდეგოდ დასრულდა - 2 საქმე;  
სააღსრულებო წარმოებაშია - 1 დავა;  
მიმდინარეა - 15 საქმე;

**მიმდინარე პერიოდისათვის რეგიონული სატყეო სამსახურების მიერ განხილული და მიმდინარე საქმეები:**

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე გამოვლინდა და შედგენილია - 1565 ოქმი;  
სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნის მქონე - 93 საქმე;  
სასამართლოში განსახილველად გადაიგზავნა - 1565 საქმე;  
სასამართლომ განიხილა - 1483 საქმე;  
მიმდინარეა - 82 საქმე.





## საფინანსო საქმიანობა

### *ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულების შესახებ*

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს, 2018 წლისათვის, „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებული ბიუჯეტის (საქართველოს მთავრობის N356 განკარგულება 14.02.18.) შესაბამისად, სააგენტოს შემოსულობები განესაზღვრა 24 085,0 ათ. ლარის ოდენობით, აქედან შემოსავლები -დაფინანსება საბიუჯეტო სახსრების სახით - 10 445,0 ათ. ლარი, საკუთარი შემოსავლებიდან - 13 640,0 ათ. ლარის ოდენობით. გადასახდელები დაგეგმილი იქნა სულ 25 253,0 ათ. ლარის ოდენობით, აქედან, საბიუჯეტო სახსრების ნაწილში - 10 445,0 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლებიდან - 14 808,0 ათ. ლარის ოდენობით.

საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებულ ბიუჯეტში (საქართველოს მთავრობის N356 განკარგულება 14.02.18.) შევიდა ცვლილებები (საქართველოს მთავრობის N1358 განკარგულებით 06.07.18. და სხვა მიმდინარე ცვლილებებით) რომლის შესაბამისად სააგენტოს შემოსულობები განესაზღვრა 27 700,0 ათ. ლარის ოდენობით, აქედან შემოსავლები -დაფინანსება საბიუჯეტო სახსრების სახით 10 445,0 ათ. ლარი, საკუთარი შემოსავლებიდან - 17 285,0 ათ. ლარის ოდენობით. გადასახდელების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 28 868,0 ათ. ლარის ოდენობით, აქედან, საბიუჯეტო სახსრების ნაწილში - 10 415,0 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლებიდან - 18 453,0 ათ. ლარის ოდენობით. დაზუსტებული გეგმით, პერიოდის დასაწყისისთვის არსებული ფულადი სახსრების ნაშთის (2'168,5 ათ. ლარი) ცვლილება (კლება) დაგეგმილი იყო 1 168,0 ათ. ლარის ოდენობით.



დასახელება	2018 წლის დაზუსტებული გეგმა			2018 წლის ფაქტი			2018 წლის შესრულება		
	მთლიანი ბიუჯეტი	მათ შორის		მთლიანი ბიუჯეტი	მათ შორის		მთლიანი ბიუჯეტი	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები
ნაშთი პერიოდის დასაწყისისათვის			2,168.5			2,168.5			
<b>შემოსულობები</b>	<b>27,700.0</b>	<b>10,415.0</b>	<b>17,285.0</b>	<b>24,965.9</b>	<b>10,195.1</b>	<b>14,770.8</b>	<b>90.1%</b>	<b>97.9%</b>	<b>85.5%</b>
<b>შემოსავლები</b>	<b>27,700.0</b>	<b>10,415.0</b>	<b>17,285.0</b>	<b>24,965.9</b>	<b>10,195.1</b>	<b>14,770.8</b>	<b>90.1%</b>	<b>97.9%</b>	<b>85.5%</b>
<i>მ.შ. საბიუჯეტო სახსრები</i>	<b>10,415.0</b>	10,415.0	0.0	<b>10,195.1</b>	10,195.1	0.0	<b>97.9%</b>	<b>97.9%</b>	
<i>მ.შ. საკუთარი შემოსავლები</i>	<b>17,285.0</b>	0.0	17,285.0	<b>14,770.8</b>	0.0	14,770.8	<b>85.5%</b>		<b>85.5%</b>
<b>გადასახდელები 31 10 (ნაერთი)</b>	<b>28,868.0</b>	<b>10,415.0</b>	<b>18,453.0</b>	<b>25,341.7</b>	<b>10,195.1</b>	<b>15,146.6</b>	<b>87.8%</b>	<b>97.9%</b>	<b>82.1%</b>
<b>გადასახდელები 31 10 01 (აპარატი)</b>	<b>17,840.0</b>	<b>9,546.0</b>	<b>8,294.0</b>	<b>17,094.3</b>	<b>9,366.2</b>	<b>7,728.1</b>	<b>95.8%</b>	<b>98.1%</b>	<b>93.2%</b>
<b>გადასახდელები 31 10 02 (მოვლა-აღდგენის ღონისძიებები)</b>	<b>2,284.4</b>	<b>379.0</b>	<b>1,905.4</b>	<b>1,471.4</b>	<b>371.2</b>	<b>1,100.2</b>	<b>64.4%</b>	<b>97.9%</b>	<b>57.7%</b>
<b>გადასახდელები 31 10 03 (ტყისსარგებლობის ღონისძიებები)</b>	<b>8,714.4</b>	<b>490.0</b>	<b>8,224.4</b>	<b>6,776.1</b>	<b>457.8</b>	<b>6,318.3</b>	<b>77.8%</b>	<b>0.0%</b>	<b>76.8%</b>
<b>გადასახდელები 31 10 04 (ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაცია)</b>	<b>29.2</b>	<b>0.0</b>	<b>29.2</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0%</b>	<b>0.0%</b>	<b>0.0%</b>
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>-1,168.0</b>	<b>0.0</b>	<b>-1,168.0</b>	<b>-375.9</b>	<b>0.0</b>	<b>-375.9</b>			

• საბიუჯეტო სახსრები

2018 წლისათვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 10 415,0 ათ. ლარით, აქედან აპარატის ხარჯებისათვის დაიგეგმა - 9 546,0 ათ. ლარი, ხოლო სატყეო ღონისძიებებისათვის - 869,0 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდში, წლიური საბიუჯეტო სახსრებიდან ვალდებულება აღებულ იქნა 10 375,0 ათ. ლარზე (გეგმის 100%), ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 10 195,1 ათ. ლარი (დაგეგმილი მოცულობის 98%). აქედან:

სააგენტოს აპარატში დაგეგმილი იქნა გადასახდელები 9 546,0 ათ. ლარის ოდენობით, ვალდებულება აღებულ იქნა 9 538,3 ათ. ლარზე (გეგმის 100%), ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 9 366,2 ათ. ლარი (გეგმის 98%).

- ✓ შრომის ანაზღაურების ფონდში დაგეგმილი 6 900,0 ათ. ლარიდან, რომელიც წარმოადგენს ძირითადი საშტატო ერთეულების შრომის ანაზღაურების (ხელფასის) ფონდს, ათვისებული იქნა 6 899,8 ათ. ლარი (გეგმის 100%);
- ✓ საქონელი და მომსახურების მუხლით, მიმდინარე წლის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იქნა 2 322,6 ათ. ლარის ხარჯის გაწევა, რომლის საკასო შესრულებამ შეადგინა 2 159,5 ათ. ლარი (გეგმის 93%). აქედან, მივლინებებზე მიმართული იქნა - 109,1 ათ.



- ლარი, ოფისის ხარჯებისათვის - 296,7 ათ. ლარი, წარმომადგენლობით ხარჯებზე - 6,4 ათ. ლარი, ტრანსპორტის მოვლა-შენახვაზე - 1'312,9 ათ. ლარი, ხოლო სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე - 434,3 ათ. ლარი.
- ✓ სოციალური უზრუნველყოფის მუხლით დაგეგმილი იქნა 110,0 ათ. ლარი, რომლის საკასო შესრულებამ შეადგინა 100,1 ათ. ლარი (გეგმის 91%).
- ✓ „სხვა ხარჯებისთვის“ (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები: დღგ, ქონების, მოგების და სხვ; სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯი) – დაგეგმილი იქნა 92,2 ათ. ლარი, აღნიშნული მუხლით საკასო გადახდა განხორციელდა 87,3 ათ. ლარზე (გეგმის 95%).
- ✓ „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით დაგეგმილი იქნა 121,2 ათ. ლარი, აღნიშნული მუხლით საკასო გადახდა განხორციელდა 119,4 ათ. ლარზე (გეგმის 99%)

სააგენტოს ღონისძიებებიდან მიმდინარე წლის დაზუსტებული გეგმით საბიუჯეტო სახსრებიდან ხარჯების გაწევა დაიგეგმა 2 ღონისძიებაზე:

- ✓ „ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებებისათვის“ – 379,0 ათ. ლარი, საიდანაც ვალდებულება აღებული იქნა 378,9 ათ. ლარზე (გეგმის 100%) და საკასო შესრულებამ შეადგინა 371,1 ათ. ლარი (გეგმის 98%). საკასო შესრულება სრულად მიმართული იქნა საქონელი და მომსახურების მუხლით, აქედან შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე - 212,0 ათ. ლარი, ოფისის ხარჯებისათვის - 24,9 ათ. ლარი, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე - 98,7 ათ. ლარი; სამედიცინო ხარჯებისთვის (მავნებლების შეწამვლის მიზნით) - 33,0 ათ. ლარი, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯებისთვის - 1,7 ათ. ლარი, ხოლო ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებისთვის - 0,7 ათ. ლარი.
- ✓ „ტყითსარგებლობის ღონისძიებებისათვის“ – 490,0 ათ. ლარი, საიდანაც ვალდებულება აღებული იქნა და საკასო შესრულებამ შეადგინა 457,8 ათ. ლარი (გეგმის 93%). საქონელი და მომსახურების მუხლით საკასო შესრულებამ შეადგინა 99,9 ათ. ლარი, რაც სრულიად მიმართული იქნა ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვისათვის, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით საკასო შესრულებამ შეადგინა 357,8 ათ. ლარი (განხორციელდა ტვირთმზიდი სატრანსპორტო საშუალებების შეძენა).


• *კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლები და გადასახდელები*


საბიუჯეტო სახსრების გარდა, სააგენტოს, 2018 წელს დაგეგმილი ჰქონდა სხვა (საკუთარი) შემოსავლების სახით მიეღო 17 285,0 ათ. ლარი. აქედან: მომსახურების საფასურის, ტყითსარგებლობის წლიური საფასურის და სხვა კანონით ნებადართული შემოსავლების სახით - 3 597,5 ათ. ლარი; 12 405,0



ლარის მიღება დაგეგმილი იყო მერქნული რესურსის დამზადებისა და აუქციონის წესით გაცემის სახით მისაღები შემოსავლებიდან; 280,0 ათ. ლარი - ბანკში დეპოზიტზე დარიცხული პროცენტიდან, ხოლო 1 002,5 ათ. ლარი - ტყის ფონდით სპეციალური სარგებლობისათვის საკომპენსაციო თანხებიდან; ფაქტობრივად, ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მიღებულმა შემოსავლებმა მიმდინარე წელს შეადგინა **14 770,8 ათ. ლარი**. მათ შორის:

- ხე-ტყის დამზადების ბილეთების გაცემიდან - 1 202,3 ათ. ლარი (შემოსავლების 8%);
- ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა და დაფირნიშება - 81,1 ათ. ლარი (0,6%);
- ტყითსარგებლობის ხელშეკრულებებიდან (საკომუნიკაციო ანძების განთავსებისთვის ტყის ფონდის ტერიტორიაზე) – 1 860,0 ათ. ლარი (13%); ;
- ტყითსარგებლობის ხელშეკრულებებიდან (ტყის ფონდის სარგებლობა) – 8,8 ათ. ლარი;
- ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმისა და სპეციალური ფირნიშების რეალიზაციიდან - 133,3 ათ. ლარი (1%);
- მერქნული რესურსის აღრიცხვის მომსახურების ღირებულებებიდან - 96,8 ათ. ლარი (0,7%);
- ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისთვის საკომპენსაციო საფასურიდან და ტყის ფონდიდან ამორიცხულ ფართობზე ფულადი კომპენსაციიდან - 1 000,2 ათ. ლარი (6,7%);
- მერქნული რესურსის რეალიზაციიდან - 10 106,8 ათ. ლარი (68.0%) ;
- სხვა დანარჩენი (ბანკის სარგებელი) – 279,7 ათ. ლარი (2%);





საანგარიშო პერიოდში, საკუთარი შემოსავლებიდან გასაწევი ხარჯების წლიური მოცულობა დაგეგმილი იქნა 18 453,0 ათ. ლარი, ვალდებულებები აღებული იქნა 17 529,2 ათ. ლარი (გეგმის 95%), საიდანაც საკასო გადახდა განხორციელდა 15 146,6 ათ. ლარზე (გეგმის 82%). აქედან:

სააგენტოს აპარატში დაგეგმილი იქნა გადასახდელები 8 294,0 ათ. ლარის ოდენობით, ვალდებულება აღებულ იქნა 7 844,1 ათ. ლარზე (გეგმის 95%), ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 7 728,1 ათ. ლარი (გეგმის 93%). მათ შორის:

- ✓ შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა - 3 239,3 ათ. ლარი (გეგმის 99%), აქედან 19,5 ათ. ლარი - „დანამატის“ ქვემუხლით და 752,2 ათ. ლარი „ჯილდოს“ ქვემუხლით.
- ✓ „საქონელი და მომსახურების“ მუხლით მიმდინარე წლის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იქნა 1 361,5 ათ. ლარის ხარჯის გაწევა, ვალდებულება აღებული იქნა 1 174,8 ათ. ლარზე (გეგმის 86%), საიდანაც საკასო გადახდა განხორციელდა 1 103,4 ათ. ლარზე (გეგმის 81%); მ.შ. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე მიიმართა - 633,9 ათ. ლარი, მივლინებებზე - 99,1 ათ. ლარი, ოფისის ხარჯებზე - 118,6 ათ. ლარი, წარმომადგენლობით ხარჯებზე - 0,2 ათ. ლარი, ტრანსპორტის მოვლა-შენახვაზე - 202,4 ათ. ლარი, სხვა დანარჩენი (ექსპერტიზის, შენობა ნაგებობების დაცვის ხარჯი და სხვ) - 49,2 ათ. ლარი.
- ✓ „გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გათვალისწინებული იქნა 1 728,5 ათ ლარი, ვალდებულება აღებული იქნა 1 530,0 ათ. ლარზე (გეგმის 89%), საიდანაც საკასო გადახდა განხორციელდა 1 488,0 ათ. ლარზე, რომელიც სრულად იქნა მიმართული სახელმწიფო ბიუჯეტში.
- ✓ „სხვა ხარჯებისთვის“ საანგარიშო პერიოდში გათვალისწინებული იქნა 1 804,7 ათ ლარი, (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები: დღგ, ქონების, მოგების და სხვ; სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯი) – ვალდებულება აღებული იქნა და საკასო გადახდა განხორციელდა 1 802,8 ათ. ლარზე (გეგმის 100%).



- ✓ „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით დაგეგმილი იქნა 123,3 ათ. ლარი - საიდანაც ვალდებულება აღებული იქნა და საკასო გადახდა განხორციელდა 94,5 ათ. ლარზე (გეგმის 77%).

სააგენტოს ღონისძიებებიდან მიმდინარე წელს საკუთარი შემოსავლებიდან ხარჯების გაწევა დაიგეგმა 3 ღონისძიებაზე:

- ✓ „ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებებისათვის“ – 1 905,4 ათ. ლარი, საიდანაც ვალდებულება აღებული იქნა 1 466,8 ათ. ლარზე (გეგმის 77%) და საკასო შესრულებამ შეადგინა 1 100,2 ათ. ლარი (გეგმის 58%). საკასო შესრულება სრულად მიმართული იქნა საქონელი და მომსახურების მუხლით, აქედან შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე - 244,8 ათ. ლარი, ოფისის ხარჯებისათვის - 61,3 ათ. ლარი, სამედიცინო ხარჯებისთვის - 81,8 ათ. ლარი, ხოლო სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე - 712,3 ათ. ლარი;
- ✓ „ტყითსარგებლობის ღონისძიებებისათვის“ – 8 224,4 ათ. ლარი, საიდანაც ვალდებულება აღებული იქნა 8 218,2 ათ. ლარზე (გეგმის 100%), ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 6 318,3 ათ. ლარი (გეგმის 77%), მათ შორის:
  - „საქონელი და მომსახურების“ მუხლით საკასო შესრულებამ შეადგინა 5 436,9 ათ. ლარი, აქედან, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე მიმართული იქნა 362,2 ათ. ლარი, ოფისის ხარჯებისთვის - 29,6 ათ. ლარი, ტრანსპორტის მოვლა-შენახვაზე - 278,2 ათ. ლარი, ხოლო სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე 4 766,9 ათ. ლარი (ხე-ტყის დამზადება).
  - „სხვა ხარჯების“ მუხლით - 881,9 ათ. ლარი, საიდანაც ვალდებულება აღებული იქნა და საკასო შესრულებამ შეადგინა 881,3 ათ. ლარი (გეგმის 100%) (მერქნული რესურსის მოსაკრებელი).
- ✓ „ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის ღონისძიებებისათვის“ დაგეგმილი იქნა 29,1 ათ. ლარი, რომლის საკასო შესრულება არ განხორციელებულა.

### დაფინანსება სხვა წყაროებიდან

2016 წლის ბოლოს ხელი მოეწერა „იმერეთის რეგიონში დაავადებული წაბლნარი ტყეების აღდგენის და განახლების პროგრამის და ეკო-პრემიების პროგრამის შესახებ" ხელშეკრულებას მიზნობრივი დაფინანსების შესახებ საქართველოს მთავრობასა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას (BTC Co) და სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანიას (SCP Co) შორის, რომლის თანახმად სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მისაღები თანხა შეადგენს 950 000 აშშ დოლარს (ცხრაას ორმოცდაათი ათასი აშშ დოლარი). აღნიშნული თანხა დარეგისტრირდა ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის ელექტრონულ ბაზაში, რომლის ათვისება



დაიწყო 2017 წლის მეორე კვარტლიდან. 2018 წელს დაგეგმილი მოცულობიდან (1'294,4 ათასი ლარი) ხარჯების გაწევა გრანტის ფარგლებში, არ განხორციელებულა.

### *ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია*

- ✓ მომზადდა და მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის განკარგულება (N356 14.02.18) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ-ეროვნული სატყეო სააგენტოს 2018 წლის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შეთანხმების თაობაზე;
- ✓ მომზადდა სააგენტოს 2017 წლის ანგარიში;
- ✓ მომზადდა და მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის განკარგულება "საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ-ეროვნული სატყეო სააგენტოს 2018 წლის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შეთანხმების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 14.02.18წ. N356 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
- ✓ მომზადდა ცვლილებები სააგენტოს 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯების კვარტალურ განწერაში (კვარტლებსა და კლასიფიკაციის მუხლებს შორის დაზუსტების მიზნით);
- ✓ „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 მარტის N107 დადგენილების შესაბამისად, მომზადდა და სამინისტროს წარედგინა ინფორმაცია 2019-2022 წწ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ.
- ✓ მომზადდა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 2019-2022 წწ საბიუჯეტო განაცხადი.
- ✓ მიმდინარეობდა ორის-მენეჯერის პროგრამის დანერგვა.
- ✓ მთელი წლის განმავლობაში, უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა სააგენტოს მიმდინარე ხარჯების: შრომის ანაზღაურების, მივლინებისა და სხვა მომსახურების ხარჯების ანგარიშსწორება (სახელმწიფო ხაზინის ერთიან სისტემაში მომზადდა 16 700 ერთულამდე მოთხოვნის შესაბამისი დოკუმენტი (დარეგისტრირდა 458 ერთული ხელშეკრულება, 3954-ერთული პირველადი დოკუმენტი და 3621-ინვოსი). გარდა ამისა, ტყითსარგებლობის ღონისძიებების ფარგლებში მომსახურება გაეწია 2400 ერთულამდე ბენეფიციარს - საბიუჯეტო ორგანიზაციას და მასში შემავალ დაქვემდებარებულ ორგანიზაციას.
- ✓ სახელმწიფო აუდიტისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა აუდიტისათვის მიწოდებული იქნა შესაბამისი ინფორმაცია და მასალები.
- ✓ გათვალისწინებული იქნა აუდიტის სამსახურების რეკომენდაციები და მითითებები.
- ✓ პერიოდულად ხორციელდებოდა საგადასახადო ორგანოში და სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტში ყოველთვიური დეკლარაციებისა და შრომითი კითხვარის წარდგენა.



### სახელმწიფო შესყიდვები

- ✓ მომზადდა ცვლილებები სააგენტოს 2018 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმებში (59 ცვლილება (აქედან, 13 - მეოთხე კვარტალში): საბიუჯეტო სახსრებით განსახორციელებელ გეგმაში- 31 ცვლილება (აქედან, 7 - მეოთხე კვარტალში); საკუთარი სახსრებით- 28 ცვლილება (აქედან - 6 -მეოთხე კვარტალში));
- ✓ 2018 წელს გამოცხადდა: 474 ელექტრონული ტენდერი, საიდანაც 42 - დასრულდა უარყოფითი შედეგით, 126 - არ შედგა, 14 - შეწყდა, გაფორმდა 285 ხელშეკრულება, აქედან მეოთხე კვარტალში გამოცხადდა 35 ელექტრონული ტენდერი, საიდანაც 3 დასრულდა უარყოფითი შედეგით, 7 - არ შედგა, 4 - შეწყდა, გაფორმდა 14 ხელშეკრულება.
- ✓ სააგენტოს ადმინისტრაციული და სხვა საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით გაფორმებული იქნა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით 2'859,4 ათ. ლარზე, საკუთარი სახსრებით 7'318.9 ლარზე, აქედან, სატყეო ღონისძიებების, კერძოდ, ხე-ტყის დამზადების მომსახურების შესყიდვის მიზნით გაფორმდა 223 ხელშეკრულება 6 482,7 ათ. ლარზე.
- ✓ თვითმცლელი სატვირთო მანქანების სახელმწიფო შესყიდვის პროცედურების განხორციელების მიზნით მომზადდა და მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის განკარგულება (N1018, 10.05.18.) „საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის - ეროვნული სატყეო სააგენტოსათვის სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით წინასწარი თანხმობის მიცემის შესახებ“
- ✓ მომზადდა და დამტკიცდა სააგენტოს 2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა.





## ტყის მოვლა-აღდგენა და კვლავწარმოება

### ქვემო ქართლი

შესწავლილი იქნა ტყის მოვლა-აღდგენის სამმართველოს 2018 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ტყის აღდგენისათვის განსაზღვრული ფართობები სიონის სატყეო უბნის ტერიტორიაზე;

განხორციელდა მოვლის ღონისძიება (გამარგვლა-გაფხვიერება) სიონის სატყეო უბნის ფოლადაურის სატყეოს ტერიტორიაზე მოწყობილ ორ ტყის დროებით სანერგეში (0,4 და 0,4 ჰა).

სიონის სატყეო უბნის ფოლადაურის სატყეოში მოწყობილ ტყის დროებით სანერგეებს (2-სანერგე კვ. N25-0,1 ჰა; კვ. N11-0,27 ჰა) ჩაუტარდა მოვლის ღონისძიება (გამარგვლა-გაფხვიერება).

სიონის სატყეო უბნის ფოლადაურის სატყეოს ტერიტორიაზე მოწყობილ ტყის დროებით სანერგეში დამზადდა ქართული მუხის 2000 ცალი თესლნერგი, რომელიც შეირგო ხაშურის სატყეო უბნის ქვიშხეთის სატყეოს ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობისათვის განსაზღვრულ 10,0 ჰა ფართობზე.

### შიდა ქართლი

შესწავლილ იქნა ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობისათვის განსაზღვრული ფართობი ხაშურის სატყეო უბნის, ქვიშხეთის სატყეოს ტერიტორიაზე (10,0 ჰა);

შედგენილი და დამტკიცებული იქნა ხაშურის სატყეო უბნის, ქვიშხეთის სატყეოს ტერიტორიაზე ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობისათვის განსაზღვრული პროექტი 10,0 ჰა ფართობზე;

განხორციელდა ხაშურის სატყეო უბნის ქვიშხეთის სატყეოში ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები (ფართობის გაწმენდა, შემოღობვა) 10,0 ჰა ფართობზე;

განხორციელდა მოვლის ღონისძიება კასპის სატყეო უბნის ქსნის სატყეოს ტერიტორიაზე მოწყობილ ტყის დროებით სანერგეში (0,2 ჰა) და ამავე სატყეოში გაშენებულ ვერხვის პლანტაციაში (0,6 ჰა) მოვლის ღონისძიება - გამარგვლა-გაფხვიერება.

მოვლის ღონისძიება (გამარგვლა-გაფხვიერება) განხორციელდა ხაშურის სატყეო უბნის ალის სატყეოში მოწყობილ ტყის დროებით სანერგეს - 0,53 ჰა.

ხაშურის სატყეო უბნის ალის სატყეოს ტერიტორიაზე მოწყობილ ტყის დროებით სანერგეში დამზადდა 205500 ცალი ფიჭვი კავკასიური/შავის თესლნერგი.

ხაშურის სატყეო უბნის ალის სატყეოს ტერიტორიაზე მოწყობილ ტყის დროებით სანერგეში (სანერგის მეორედ ბრუნვა) მომზადდა (მოიხნა) ნიადაგი 0,66 ჰა ფართობზე.

კასპის სატყეო უბნის ქსნის სატყეოს ტერიტორიაზე მოწყობილ ტყის დროებით სანერგეში დამზადდა 2462 ცალი ნეკერჩხლისა და ვერხვის თესლნერი, რომელიც შეირგო ხაშურის სატყეო უბნის ქვიშხეთის სატყეოს ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობისათვის განსაზღვრულ 10,0 ჰა ფართობზე.

ხაშურის სატყეო უბნის ქვიშხეთის სატყეოს ტერიტორიაზე ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის 10,0 ჰა ფართობზე განხორციელდა 4462 ცალი ნერგის შერგვა.

განხორციელდა ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობისათვის განსაზღვრული 3,3 ჰა ფართობის შესწავლა/პროექტირება ხაშურის სატყეო უბნის სურამის სატყეოს ტერიტორიაზე.

### გურია

განხორციელდა ტყის აღდგენის ღონისძიებების შესწავლა/განხორციელება ოზურგეთი-ლანჩხუთის სატყეო უბნის მთისპირის სატყეოს კვ. N1,2-ის ტერიტორიაზე, კერძოდ:



- ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა - 1,2 ჰა ფართობზე;
- ტყის გაშენება 1,0 ჰა ფართობზე;
- აკაციის პლანტაციის გაშენება - 2,0 ჰა ფართობზე;
- განხორციელდა ტყის გაშენებისათვის ოზურგეთი-ლანჩხუთის სატყეო უბნის მთის სატყეოში 1,0 ჰა ფართობზე შესწავლა/პროექტირება;
- შედგენილი და დამტკიცებული იქნა ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის პროექტი ჩოხატაურის სატყეო უბნის ბახმაროს სატყეოს ტერიტორიაზე 2,0 ჰა ფართობზე;
- მოვლის ღონისძიება (გამარგვლა-გაფხვიერება) განხორციელდა ლანჩხუთის სატყეო უბნის სუფსის სატყეოს ტერიტორიაზე ტყის დროებით სანერგეში 0,01 ჰა ფართობზე;
- ოზურგეთი-ლანჩხუთის სატყეო უბნის მთისპირის სატყეოს ტერიტორიაზე ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის კომპლექსური პროექტით გათვალისწინებულ 18,2 ჰა ფართობზე განხორციელდა მოვლის ღონისძიებები (გამარგვლა-გაფხვიერება);
- ოზურგეთი-ლანჩხუთის სატყეო უბნის მთისპირის სატყეოს ტერიტორიაზე განხორციელდა ტყის აღდგენის ღონისძიებები: ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა - 1,2 ჰა ფართობზე; დაირგო - 1,0 ჰა-ზე 5000 ცალი ნერგი; გაშენდა აკაციის პლანტაცია 2,0 ჰა ფართობზე, გაზაფხულზე დაირგო 6000 ცალი ნერგი.
- ოზურგეთი-ლანჩხუთის სატყეო უბნის მთის სატყეოს ტერიტორიაზე გაშენდა 1,0 ჰა ფართობი, დაირგო 4000 ცალი ნერგი;
- ოზურგეთი-ლანჩხუთის სატყეო უბნის მთისპირის სატყეოს ტერიტორიაზე მოვლის ღონისძიებები ჩატარდა: ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობისათვის განსაზღვრულ 1,2 ჰა ფართობს (ფართობის გაწმენდა); გაშენებულ ნერგებს 1,0 ჰა ფართობზე და აკაციის პლანტაციაში გაშენებულ 6000 ცალ ნერგს (გამარგვლა-გაფხვიერება);
- მოვლა (გამარგვლა-გაფხვიერება) ჩატარდა ოზურგეთი-ლანჩხუთის სატყეო უბნის მთის სატყეოს ტერიტორიაზე გაშენებულ 5000 ცალ ნერგს;
- ოზურგეთი-ლანჩხუთის სატყეო უბნის მთის სატყეოს ტერიტორიაზე ასევე მოვლის ღონისძიება (გამარგვლა-გაფხვიერება) ჩატარდა 1,0 ჰა ფართობზე გაშენებულ 4000 ცალ ნერგს.
- ოზურგეთი-ლანჩხუთის სატყეო უბნის სუფსის სატყეოს ტერიტორიაზე მოწყობილ ტყის დროებით სანერგეში 0,1 ჰა ფართობზე განხორციელდა მოვლის ღონისძიება;
- ოზურგეთი-ლანჩხუთის სატყეო უბნის მთისპირის სატყეო მოვლა ჩატარდა 1,0 ჰა ფართობზე გაშენებულ ნერგებს (ჯამების გამარგვლა-გაფხვიერება);
- მოვლის ღონისძიება ჩატარდა მთისპირის სატყეოში 2,0 ჰა ფართობზე გაშენებულ 6000 ცალ აკაციის თესლნერგს (ჯამების გამარგვლა-გაფხვიერება);
- მოვლის ღონისძიება (ჯამების გამარგვლა-გაფხვიერება ჩატარდა მთის სატყეოს ტერიტორიაზე 2,0 ჰა ფართობზე გაშენებულ ნერგებს.
- მოვლის ღონისძიება (ჯამების გამარგვლა-გაფხვიერება) ჩატარდა ოზურგეთი-ლანჩხუთის სატყეო უბნის მთისპირის სატყეოში 18,2 ჰა ფართობზე გაშენებულ ნერგებს.
- განხორციელდა ჩოხატაურის სატყეო უბნის ბახმაროს სატყეოში დასრულდა ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის (2,0 ჰა) პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები (გაწმენდა, შემოღობვა, აჩიქვანა).
- ოზურგეთი-ლანჩხუთის სატყეო უბნის მთისპირის სატყეოს კვ.N1,2-ში არსებულ აკაციის პლანტაციის ტერიტორიაზე - 2,0 ჰა ფართობზე დაირგო 4000 ცალი აკაციის თესლნერგი.

**იმერეთი**



განხორციელდა გეოლოგიური კვლევა გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიური დეპარტამენტის სპეციალისტთან ერთად, ტყიბულის სატყეო უბნის საწირეს სატყეოში 23,5 ჰა ფართობზე; ტყის მოვლა-აღდგენის სამმართველოს სპეციალისტების მიერ დამზადებული იქნა ბზის კალმები (6000 ცალი) სამეგრელო-ზემო სვანეთის კოლხეთის სატყეო უბნის ტერიტორიაზე მოწყობილ ტყის დროებით სანერგეში დარგვის მიზნით;

დაიწყო ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობისათვის განსაზღვრულ ფართობებზე ჭიათურა-საჩხერის სატყეო უბნის გეზრულის (6,5 ჰა) და მანდაეთის (5,0 ჰა) სატყეოებში შესაბამისი პროექტებით გათვალისწინებული ღონისძიებები (ფართობების გაწმენდა, შემოღობვა); მიმდინარეობს საჩხერე-ჭიათურის სატყეო უბნის მანდაეთისა (5,0 ჰა) და გეზრულის (6,6 ჰა) სატყეოების ტერიტორიაზე ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის პროექტებით გათვალისწინებული ღონისძიებები: ფართობის გაწმენდა, შემოღობვა;

მიმდინარეობს ხონი-წყალტუბოს სატყეო უბნის ჟონეთის სატყეოს (2,4 ჰა) ტერიტორიაზე ტყის გაშენების პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები: ფართობის გაწმენდა, შემოღობვა, დარგვა. დასრულდა სამუშაოები ჭიათურა-საჩხერის სატყეო უბნის მანდაეთისა (5,0 ჰა) და გეზრულის (6,5 ჰა) სატყეოების ტერიტორიებზე ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები (გაწმენდა, შემოღობვა).

წყალტუბო-ხონის სატყეო უბნის ჟონეთის სატყეოს ტერიტორიაზე 2,4 ჰა ფართობზე განხორციელდა ტყის გაშენება. დაირგო 9500 ცალი ნერგი.

ტყიბულის სატყეო უბნის საწირის სატყეოს ტერიტორიაზე 23,4 ჰა ფართობზე განხორციელდა ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის პროექტის შედგენა/დამდკიცება.

**სამეგრელო-ზემო სვანეთი**

კოლხეთის სატყეო უბნის ხეთის სატყეოში მოწყობილ ტყის დროებით სანერგეში განხორციელდა 6000 ცალი ბზის კალმის დარგვა;

კოლხეთი-ჩხოროწყუს სატყეო უბნის ხეთის სატყეოში მოწყობილ ტყის დროებით სანერგეში დასარგავად განხორციელდა კოლხური ბზის დაკალმება/ 6000 ცალი კალამის/; განხორციელდა ამავე სანერგეში არსებული იფნის თესლნერგების 0,3 ჰა ფართობზე მოვლის ღონისძიება (გამარგვლა-გაფხვიერება);

კოლხეთის სატყეო უბნის ხეთის სატყეოს ტერიტორიაზე მოწყობილ ტყის დროებით სანერგეში .მოვლის ღონისძიება (მე-3) ჩატარდა კოლხეთი-ჩხოროწყუს სატყეო უბნის ხეთის სატყეოში მოწყობილ ტყის დროებით სანერგეში იფნის თესლნერგებს 0,3 ჰა ფართობზე.

განხორციელდა ბზის ალურას წინააღმდეგ შეწამვლის მე-3 ეტაპი 237 ჰა ფართობზე. სანერგეში (0,3 ჰა) ჩატარდა მოვლის ღონისძიება (გამარგვლა-გაფხვიერება).

**სამცხე-ჯავახეთი**

2017 წლის 20-26 აგვისტოს ხანძრით სოფ. დაბის მიმდებარედ განადგურებული ტერიტორიის აღდგენის მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- შესწავლილი იქნა და მომზადდა ნახანძრალი ტერიტორიის გეოლოგიური დასკვნა;
- განხორციელდა ნახანძრალი ტერიტორიის ნიადაგური პირობების მდგომარეობის შესწავლა, შედგენილი იქნა შესაბამისი დასკვნა;
- განხორციელდა ნახანძრალი ტერიტორიის დეტალური შესწავლა სოფ. დაბის მიმდებარედ 2017 წლის 20-26 აგვისტოს ხანძრით განადგურებულ ტერიტორიაზე ტყის აღდგენის ღონისძიებების განხორციელების მიზნით (243 ჰა ფართობზე);

მიმდინარეობს ნახანძრალ ტერიტორიაზე ტყის აღდგენის პროექტის დამუშავება.



ტყის აღდგენის ღონისძიებების განხორციელების მიზნით შედგენილი იქნა ტექნიკური დავალებები აღსადგენი ფართობებისათვის შესაღობი მასალის (ეკლიანი მავთული, ბოძი, სამაგრი) შესყიდვაზე. განხორციელდა მოვლის ღონისძიება (გამარგვლა-გაფხვიერება, გამოთიბვა) ბორჯომის სატყეო უბნის ჩარხისწყლის სატყეოს ტერიტორიაზე (სოფ. დაბის მიმდებარედ) არსებულ ტყის დროებით (სასკოლო) სანერგეში 0,5 ჰა ფართობზე;

ბორჯომის სატყეო უბნის ჩარხისწყლის სატყეოში, ნახანძრალ ტერიტორიაზე, შეიღობა 750 გრძ.მ. და აღდგენილი იქნა 1900 გრძ.მ. ასევე გაიწმინდა 2017 წლის აგვისტოს ხანძრის შედეგად დამწვარი ტერიტორიის განსაზღვრული მონაკვეთები 5,0 ჰა ფართობზე;

განხორციელდა მოვლის ღონისძიება ბორჯომის სატყეო უბნის ბორჯომის სატყეოს ტერიტორიაზე ბუნებრივი განახლების ხელშეწყობისათვის განსაზღვრულ 27,7 ჰა ფართობზე (პლატო);

განხორციელდა მოვლის ღონისძიება ახალციხის სატყეო უბნის ურაველის სატყეოში მოწყობილ ტყის დროებით სანერგეში 0,06 ჰა ფართობზე;

განხორციელდა თესვის ღონისძიება ბაკურიანის სატყეო უბნის ციხისჯვრის სატყეოს ტერიტორიაზე არსებულ ტყის დროებით სანერგეში 0,04 ჰა ფართობზე (სანერგის მეორედ ბრუნვა);

მოვლის ღონისძიება განხორციელდა ბორჯომის სატყეო უბნის ჩარხისწყლის სატყეოში მოწყობილ ტყის დროებით სანერგეს 0,2 ჰა ფართობზე, გაითიბა 0,3 ჰა;

მოვლის ღონისძიება განხორციელდა ახალციხის სატყეო უბნის ურაველის სატყეოში 0,06 ჰა ფართობზე მოწყობილ ტყის დროებით სანერგეში;

მოვლის ღონისძიება განხორციელდა ბაკურიანის სატყეო უბნის ციხისჯვრის სატყეოში 0,04 ჰა ფართობზე მოწყობილ ტყის დროებით სანერგეში;

მოვლის ღონისძიება (ჯამების გამარგვლა-გაფხვიერება) ჩატარდა ბორჯომის სატყეო უბნის ტერიტორიაზე ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის მიზნით 27,7 ჰა ფართობზე გაშენებულ ნერგებს.

განხორციელდა 2017 წლის 20-26 აგვისტოს ბორჯომის ტერიტორიაზე ხანძრით დაზიანებულ ფართობებზე (128,0 ჰა) ტყის აღდგენის პროექტის შესაბამისად ფართობების გაწმენდის ღონისძიებები. 2008-2017 წლის ნახანძრალ 144,0 ჰა ფართობზე (სოფ. დაბის მიმდებარედ) დაირგო 247330 ცალი თესლნერგი (გაშენების I ეტაპი). თესლნერგები დამზადდა ალისა (205500 ცალი) და ურაველის (7530 ცალი) სატყეოების ტერიტორიებზე მოწყობილ ტყის დროებით სანერგეებში.

დამტკიცდა 2008-2017 წლებში სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (ბორჯომისა და ბაკურიანის სატყეო უბნებზე) ხანძრით განადგურებული ტყის აღდგენის პროექტი 402,0 ჰა ფართობზე.

ახალციხის სატყეო უბნის ურაველის სატყეოს ტერიტორიაზე მოწყობილ ტყის დროებით სანერგეში (სანერგის მეორედ ბრუნვა) მომზადდა (მოიხნა) ნიადაგი 0,04 ჰა ფართობზე.

სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მბეჭდავი ქერქიჭამით დაზიანებულ ტყის კორომებში ჩამოხსნილი იქნა 2000 ცალი ფერომონიანი მწერმჭერი.

**რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი**

ჩატარდა ლენტეხის სატყეო უბნის ლენტეხის სატყეოში ტყის დროებითი სანერგის მოსაწყობად 0,13 ჰა ფართობზე, 2017 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ფართობების შესწავლა;

შედგენილი და დამტკიცებული იქნა ლენტეხის სატყეო უბნის ლენტეხის სატყეოს ტერიტორიაზე ტყის დროებითი სანერგის მოწყობის (0,13 ჰა) პროექტი, რომლის შესაბამისი ღონისძიებები (ფართობის მომზადება, შემოღობვა, თესვა) განხორციელდება 2018 წლის სამემოდგომო სეზონზე.

ლენტეხის სატყეო უბნის ლენტეხის სატყეოს ტერიტორიაზე მოეწყო ტყის დროებითი სანერგე 0,13 ჰა ფართობზე (მოხვნა, შეღობვა, თესვა).

განხორციელდა ბზის კორომების შეწამვლის მე-3 ეტაპი 250,0 ჰა ფართობზე.

ჩამოხსნილი იქნა ბზის კორომებში განთავსებული ფერომონიანი მწერმჭერები 281 ცალი.



**კახეთი**

განხორციელდა მოვლის ღონისძიებები (გამარგვლა-გაფხვიერება) კახეთის სატყეო სამსახურის დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე გაშენებულ აკაციის პლანტაციებში: დედოფლისწყარო-სიღნაღის სატყეო უბნის წნორის სატყეოს ტერიტორიაზე 5,8 ჰა ფართობზე; საგარეჯო-გურჯაანის სატყეო უბნის ლელის სატყეოში 14,7 ჰა ფართობზე;

მოვლის ღონისძიება (ჯამების გამარგვლა-გაფხვიერება) განხორციელდა კახეთის სატყეო სამსახურის საგარეჯო-გურჯაანის სატყეო უბნის ლელის სატყეოში 14,7 ჰა, დედოფლისწყარო-სიღნაღის სატყეო უბნის წნორის სატყეოში - 5,8 ჰა გაშენებულ აკაციის პლანტაციებში;

**მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები:**

შესაბამისი ტექნიკური დავალების საფუძველზე გამოცხადდა ტენდერი სამცხე-ჯავახეთის წიწვოვან კორომებში გავრცელებული მბეჭდავი ქერქიჭამიას მონიტორინგის მიზნით საჭირო 6000 ცალი ფერომონის შესყიდვაზე;

დაიწყო სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ქერქიჭამიით დაზიანებული ნაძვნარ კორომებში ფერომონიანი მწერმჭერების განთავსება.

სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის ტერიტორიაზე მბეჭდავი ქერქიჭამიას გავრცელების ტერიტორიაზე (ბორჯომის, ბაკურიანის, ასპინძა-ახალქალაქის, ადგიგენსა და ახალციხის სატყეო უბნებში არსებულ ტყის კორომებში) განთავსდა ფერომონიანი მწერმჭერები - 2000 ცალი.

აღნიშნულ ტერიტორიებზე განხორციელდა 6-მონიტორინგი. განადგურდა 1 323 966-ზე მეტი მავნებელი.

შესაბამისი ტექნიკური დავალების საფუძველზე გამოცხადდა ტენდერი ბზის ალურას მონიტორინგის მიზნით 1000 ცალი მწერმჭერისა და 4000 ცალი ფერომონის შესყიდვაზე;

შესაბამისი ტექნიკური დავალების საფუძველზე გამოცხადდა ტენდერი ბზის ალურას წინააღმდეგ ბრძოლისთვის 6600 ლიტრი ბიოლოგიური პრეპარატის შესყიდვაზე (რომელიც გამოყენებული იქნება იმერეთში, გურიაში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის 550 ჰა. ფართობზე);

იმერეთის რეგიონში განხორციელდა ბზის ალურით დაზიანებული კოლხური ბზის კორომების შეწამვლა 63 ჰა ფართობზე; ასევე, განთავსებული იქნა ბზის დაავადებულ კორომებში ფერომონიანი მჭერმჭერები 630 ცალი, რომელთაგან სულ ჩამოხსნილი და დასაწყობებული იქნა მხოლოდ 75 ცალი.

